

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
ხელშეკრულება №165**

ქ. გორი

21 ოქტომბერი, 2021 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში - შემსყიდველი), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ გია მერებაშვილი** (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია: სპორტული საქონლის (კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, რაგბისა და ჩოგბურთის ბურთების) შესყიდვა.

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1. შესყიდვის ობიექტია - სპორტული საქონელი:

- **კალათბურთის ბურთები (CPV: 37452200)** - 3 (სამი) ცალი; 1 (ერთი) ცალის ღირებულება - 55 (ორმოცდათხუთმეტი) ლარი;
- **ფრენბურთის ბურთები (CPV: 37452900)** - 3 (სამი) ცალი; 1 (ერთი) ცალის ღირებულება - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
- **ხელბურთის ბურთები (CPV: 37451900)** - 3 (სამი) ცალი; 1 (ერთი) ცალის ღირებულება - 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი;
- **რაგბის ბურთები (CPV: 37451000)** - 3 (სამი) ცალი; 1 (ერთი) ცალის ღირებულება - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
- **ჩოგბურთის ბურთები (CPV: 37452710)** - 10 (ათი) ცალი; 1 (ერთი) ცალის ღირებულება - 5 (ხუთი) ლარი;

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **620** (ექვსას ოცი) ლარი.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №5<sup>ა</sup>.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენას შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები და/ან ანგარიშგაქტურა).

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

**7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)**

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### **9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

### **10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის (კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და/ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის) დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

### **11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

- 13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 14.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ლელა ალექსიძე.
- 14.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი /ინსპექტირება/ გულისხმობს შესყიდვის ობიექტის რაოდენობის/მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
- 14.3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლისთვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. თუ შემსყიდველი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის/მათ შრომის ანაზღაურებასა და ხარჯებს უზრუნველყოფს თავად შემსყიდველი.
- 14.4. ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება მიმწოდებელს.

**15. სხვა პირობები**

- 15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია/დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგენილი იქნება ქართულ ენაზე და დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

**16. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები**

**„შემსყიდველი“**

**„მიმწოდებელი“**

<p><b>სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი</b>                  მისამართი - ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. №53                  ტელ.: 577 25 00 04                  საიდენტიფიკაციო კოდი - 218076542  <b>საბანკო რეკვიზიტები:</b>                  სახელმწიფო ხაზინა                  ბანკის კოდი TRESGE22                  ხაზინის ერთიანი ანგარიში  <b>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</b>  <b>გიორგი ხორბალაძე</b></p> 	<p><b>ი/მ გია მერებაშვილი</b>                  მისამართი - ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №5ა                  ტელ.: 595 19 09 50                  საიდენტიფიკაციო კოდი - 59001017564  <b>საბანკო რეკვიზიტები:</b>                  სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“                  ბანკის კოდი UGEBGE22                  ანგარიშის ნომერი GE38VT0200000049733602   <b>გია მერებაშვილი</b></p>
---	--

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

ქ. გორი

21 ოქტომბერი, 2021 წელი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი - უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვადასტურებთ, რომ სპორტული საქონლის (კლათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, რაგბისა და ჩოგბურთის ბურთების) შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, მიმწოდებლის - ი/მ გია მერებაშვილის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გიორგი ხორბალაძე



მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი -

ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

გიორგი ტეტუნაშვილი

